საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 2023 წლის მცხეთის რაიონული (მათ შორის დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მაგისტრატი) სასამართლოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია მცხეთის რაიონულ (მათ შორის დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით მცხეთის რაიონულ (მათ შორის დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მაგისტრატ) სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2022 წლის 09 დეკემბრიდან 2023 წლის 08 დეკემბრამდე მცხეთის რაიონულ (მათ შორის დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მაგისტრატ) სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა ,,150" განცხადება.

შემოსული განცხადებებიდან:

- დაკმაყოფილდა - 6 განცხადება;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 1 განცხადება;
- არ დაკმაყოფილდა - 142 განცხადება;
- ფორმალური გაუმართაობის გამო განმცხადებელს დაუბრუნდა - 1 განცხადება;

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ყველა განცხადებას პასუხი გაეცა წერილობითი ფორმით, ასევე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, კანონით დადგენილ ვადაში.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის - მცხეთის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის, II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თამარ ავანაშვილის მიერ, რომელიც - 2013 წლის 01 ნოემბრიდან მცხეთის რაიონულ სასმართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საჩივარი არ შემოსულა.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მცხეთის რაიონულ (მათ შორის დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მაგისტრატ) სასამართლოს, საქმისწარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას, ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო აპარატის თანამშრომელთა მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, შესაბამისად, 2022 წლის 09 დეკემბრიდან 2023 წლის 08 დეკემბრამდე, სასამართლომ პერსონალური მონაცემები გასცა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის თაობაზე დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლოს თანამშრომლის მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ იძლეოდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების შესაძლებლობას ან/და მცხეთის რაიონულ სასამართლოში ინფრომაცია დაცული არ იყო.

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

თამარ ავანაშვილი

მცხეთსი რაიონული სასამართლოს კანცელარიისა
და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების
უფროსი - II რანგის - მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი